# საქართველოს მანქანათმშენებელი საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირების და მართვის საკითხისათვის

*ი. აბულაძე, ვ. წვერავა, ა. მებონია*
*სტუ-ს დოქტორანტები*

საზოგადოდ ცნობილია, რომ საქართველოს გააჩნია საკმაოდ დიდი ადამიანური, სამეცნიერო და რესურსული პოტენციალი, რომელიც ცხადია საფუძვლად უნდა დაედოს მაღალეფექტური ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებას. თუმცაღა არსებული რეალობა სულ სხვა სურათს გვისახავს, კერძოდ კი, თანამედროვე ეკონომიკური რეალობის შემხედვარე მიგვანიშნებს მოცემულ ფაქტორთა და მექანიზმთა კომპლემენტარობის პირობათა შექმნის აუცილებლობაზე, რომელთაც თავის მხრივ მოქმედებაში უნდა მოიყვანონ და ააღორძინონ ის მნიშვნელოვანი წარმოებითი პოტენციალი, რაც *ეკონომიკური სისტემის ყველა სუბიექტისგან* მოითხოვს უდიდესი ძალისხმევის მობილიზებას. თავის მხრივ კი, მოცემული ფუნდამენტური მექანიზმები რეალიზდება ქვეყნის მანქანათმშენებელი კომპლექსის ჩარჩოებში, რომელიც ბოლო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ყველაზე უფრო მეტად დაზარალდა მეურნეობრიობის სხვა დარგებთან შედარებით.

ზემოხსენებულის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბებული იქნეს ის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი კონცეპტუალური მიდგომები, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მანქანათმშენებელი სექტორის, როგორც ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის შემდგომ სრულყოფას და განვითარებას. კერძოდ, მმს გვევლინება რა ქვეყნის სამრეწველო წარმოების საფუძვლად, მისდამი წაყენებულ მოთხოვნათა და მის წინაშე მდგარ პრობლემათა გადასაჭრელად მოითხოვს საფუძვლიან და საკმაოდ აწონილ, წინასწარ განსაზღვრულ მიდგომებს, რაც განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, უმთავრესად კი:

- მმკ გვევლინება რა ქვეყნის ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კატალიზატორის რანგში, არსებითად წარმოადგენს გადამამუშავებელი მრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგთაგანს, რომლის ეფექტური განვითარებაც უშუალო გავლენას ახდენს ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორთა ტექნიკურ აღჭურვაზე, აჯერებს რა მათ მაღალტექნოლოგიური პროდუქციითა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალი ტექნიკური დონის ძირითადი ფონდებით;
- ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მმკ ჩათვლილი უნდა იქნეს გაცილებით უფრო ფართოდ დიფერენცირებული ასორტიმენტის მქონე პროდუქციის მწარმოებელი მრეწველობის, შეიძლება ითქვას, ყველაზე ურთულეს დარგად, კერძოდ კი ძირითადი ფონდების (შრომის იარაღების), გაცილებით უფრო აქტიური ნაწილის გამოშვებიდან დაწყებული, დამთავრებული ყველასთვის მისაღები საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით, მანქანა-დანადგარებით, ავტომობილებით, ტრაქტორებითა და შესაბამისი სათადარიგო ნაწილებით;
- მანქანათმშენებლობის საწარმოთა უმრავლესობა უშვებს რა თავისი სპეციალიზაციის პროდუქციის უდიდეს ნაწილს, ეკონომიკის მოცემულ სექტორში, რომელსაც იგი უდავოდ იკავებს, მიაღწევს რა ე.წ. მონოპოლიურ მდგომარეობას, თავისთავად სამომავლოდ გაზრდის მეურნეობრიობის მოცემულ სუბიექტთა უჩვეულო ეკონომიკურ და სოციალურ მნიშვნელოვნობის დონეს;
- დარგში დასაქმებულთა რიცხოვნობისა და გამოშვებული პროდუქციის ღირებულის მიხედვით მანქანათმშენებელი კომპლექსი, მიუხედავად ქვეყნაში რამოდენიმე წლის წინ განვითარებული დიდი კატაკლიზმებისა, სამრეწველო წარმოების (მძიმე, მსუბუქი, კვების, ქიმიური და ა.შ.) ყველა დარგებს შორის, როგორც საქართველოში, ასევე დსთ-ს სივრცეში და, კერძოდ, რუსეთის ფედერაციაში

(შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 35%) დღემდე იკავებს ერთ-ერთ პირველ ადგილს [1,2];

- თუკი განვახორციელებთ ჩვენი ქვეყნისა და რუსეთის ფედერაციის მანქანათმშენებელი საწარმოების შედარების პრაქტიკულ ანალიზს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნის მშპ-ის დაახლოებით 15, აგრეთვე რუსეთის მრეწველობის დარგების მიერ წარმოებული პროდუქციის დაახლოებით 20 და მათი ძირითადი ფონდების 25% მოდის მანქანათმშენებლობაზე, იმ დროს როდესაც, აღნიშნული მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ პროდუქციის გამოშვების, საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, ზომის, საკუთრების ფორმების, ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და რეგიონების მიხედვით მკვთრად ცვალებადობს [1, 2, 3];

ამასთან დაკავშირებით ყოველივე ზემოხსენებული კიდევ ერთხელ ადასტურებს რა ჩვენი ქვეყნის მმკ-ის საწარმოთა რაციონალური და ეფექტური მართვის უდიდეს მნიშვნელობას, ამავდროულად ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ქვეყნის სამომავლო განვითარების თვალსაზრისით უდავოდ იკავებს ერთ-ერთ თვალსაჩინო მდგომარეობას (იხ. ნახ. 1).

ამგვარად, როგორც მთლიანად ქვეყნის მანქანათმშენებლობის, ასევე მისი ცალკეული დარგობრივი მდგენელების ეკონომიკური მდგომარეობის საერთო სურათი სამეცნიერო ინტერესის თვალსაზრისით წარმოადგენს ჩვენი კვლევის საფუძველს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში, როგოც ქვეყნის სექტორული ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების განმაპირობებელ დარგში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით გაერთიანებულია მთელი რიგი ქვედარგებისა, როგორც მაგალითად, სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, რომელიც აერთიანებს ენერგეტიკულ-სასარგებლო წიაღისეულის, ნახშირის, ასევე ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებას. გარდა ამისა მრეწველობის ზემოხსენებული დარგი ენერგეტიკულ-სასარგებლო წიაღისეუ-

ნახ. 1 მანქანათმშენებელი კომპლექსის ადგილი ქვეყნის მრეწველობის ერთიან სტრუქტურაში



ლის მოპოვების გარდა თავის დარგში აერთიანებს ლითონის მადნეულის მოპოვებას და სამთო-მომპოვებელი მრეწველობის სხვა დარგებს. თავად გადამამუშავებელი მრეწველობა წარმოდგენილია საკვები პროდუქტების (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს ნაწარმის წარმოებით, ტექსტილისა და ტექსტილის ნაწარმის წარმოებით, აგრეთვე ტყავის, ტყავის ნაწარმისა და ფეხსაცმლის, ასევე ხე-ტყის გადამამუშავებელი და ხის ნაწარმის წარმოებით, ქაღალდის მრეწველობითა და საგამომცემლო-პოლიგრაფიული საქმიანობით. გარდა ზემოხსენებულისა წარმოების საკმაოდ მაღალეფექტური მაჩვენებლებით ხასიათდება ნავთობპროდუქტების, ქიმიური, რეზინის და პლასტმასის, დანარჩენი არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოება. ცალკე ჯგუფში გამოიყოფა მეტალურგიული მრეწველობა და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების წარმოება, ელექტრო, ელექტრონული და ოპტიკური მოწყობილობების წარმოება, ასევე სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობების წარმოება. აქვე უნდა აღინიშნოს მრეწველობის სხვა დარგებზეც, როგორიცაა ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება, რაც თავისთავად იყოფა ელექტროენერგიის წარმოება-განაწილებად, აირის წარმოება-განაწილებად, ორთქლითა და ცხელი წყლით მომარაგებად და წყლის დაგროვება, გაწმენდა-განაწილებად. ზემოხსენებული დარგების და შესაბამისად ქვედარგების მიერ წარმოებული პროდუქცია ცხადია განკუთვნილია მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ შევეცადეთ ჩვენი კვლევა მიგვეძღვნა საქართველოს მმკ-ის საწარმოთა ფუნქციონირების პრობლემათა ანალიზისთვის, რომელთაც უნდა უზრუნველყონ როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირთა მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ზემოხსენებულ დარგთა მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე [1, 4].

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საქართველოს მრეწველობა კვლავაც მიილტვის ეკონომიკის მომპოვებელი სექტორისკენ. ვინაიდან მანქანათმშენებლობა, როგორც ჩვენს მიერ უკვე ზემოთ იქნა აღნიშნული, ქვეყნის ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ყველაზე მეტად დაზაარალა უკანასკნელმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, უპირველეს ყოვლისა განაპირობა ის, რომ მმკ-ს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შედეგები გარკვეულწილად დაუქვემდებარა და მჭიდროდ დაუკავშირდა დარგების გადახდისუნარიანობას, რომელთა მოთხოვნებზეც თავისთავად ცხადია ისინი ორიენტირებულნი არიან, რამაც რა თქმა უნდა თავის მხრივ განაპირობა ქართული მრეწველობის სხვადასხვა დარგების სუბიექტების ფინანსური დანაკარგები, რაც შესაბამისად აისახა მათ ფინანსურ შედეგებზე (მოგებაზე, რენტაბელობაზე, მწარმოებლობაზე და ა.შ.).

არსებული სიტუაციის გაცილებით უფრო თვალნათლივი წარმოდგენისათვის, რომელიც შეიქმნა საქართველოს მმკ-ს დარგებში, გავაანალიზებთ 1-ელ ცხრილში აგრეგირებულ ფორმაში წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებს [1].

**P.S.** * - ნიშნავს წინასწარ მონაცემებს

ჩვენს შემთხვევაში მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობასა და ბრუნვის მოცულობაში 2011 წელი შეიძლება ჩათვლილ იქნეს წინასწარ მონაცემებად.

ამასთან, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მრეწველობის ზემოთხსენებულ სექტორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურების ანალიზიც [1].

ამასთან ერთად, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან და გლობალური უმუშევრობიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მრეწველობის, და კერძოდ, მანქანათმშენებლობის დარგებში დასაქმებულ მუშაკთა საშუალოწლიური რიცხოვნობის სავარაუდო შემცირების ტენდენცია, რაც არც თუ ისე უსაფუძვლოა გამომდინარე დღევანდელი ეკონომიკური რეალობიდან, განპირობებულია შემდეგ ძირითად ფაქტორთა უშუალო ზეგავლენით, როგორიც გახლავთ:

- საწარმოო პროცესში ინოვაციათა აქტიური დანერგვა და ძირითადი მოწყობილობებისა და დანადგარ-აგრეგატების მოდერნიზაცია;
- სამრეწველო საწარმოთა შერწყმა-გაერთიანება, რომელიც გამოიწვევს მონათესავე სპეციალობათა (იურიდიულ, ეკონომიკურ, საფინანსო-საბუღალტრო ქვედანაყოფების და ა.შ.) მუშაკების გამოთავისუფლებას, რაც თავისთავად გარდაუვალი პროცესი გახლავთ;
- ნატურალურ გამოსახულებაში მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვების მასშტაბების მნიშვნელოვანი შემცირება.

ამასთან, უდავოდ დიდ ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება, კერძოდ კი მრეწველობის კონკრეტულ დარგებში დაქირავებულთა რაოდენობის ანალიზი, რაც წარმოებისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ბერკეტს.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობდა ამ უმნიშ-

ცხრილი 1

## საქართველოს მანქანათმშენებელი კომპლექსის წამყვან დარგებში აბრეშუმიანებულ ფიზიკურ ფარმიდგენილი სტატისტიკური მონაცემები

| [illegible] | [illegible] | [illegible] |

ცხრილი 2

**მრეწველობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება საქმიანობის სახეების მიხედვით (ლარი)**

| მანქანათმშენებლობის კომპლექსი, მათ შორის: | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|
| მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება | 527,2 | 657,6 | 679,9 | 548,8 | 619,5 |
| ელექტრო, ელექტრონული და ოპტიკური მოწყობილობების წარმოება | 295,9 | 329,0 | 651,6 | 735,9 | 754,1 |
| სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობების წარმოება | 344,1 | 442,9 | 630,9 | 618,3 | 593,2 |

ვნელოვანესი კატეგორიის შესწავლასა და ანალიზში. ქვემოთ ცხრილის სახით წარმოდგენილია მრეწველობაში დაქირავებულთა რაოდენობის კრებსითი სტატისტიკური მონაცემები [1].

*-წინასწარი მონაცემები

გარდა ზემოხსენებულისა, სტატისტიკური მონაცემების შესწავლა-დამუშავებისა და მათი ანალიზის საფუძველზე ჩვენს მიერ ზემოთ ასევე გამოკვლეუული იქნა ისეთი რთული ეკონომიკური კატეგორიები მრეწველობაში, როგორიცაამრეწველობაში შრომითი დანახარჯებისა და , საქონ-

ცხრილი 3

**მრეწველობაში დაქირავებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (კაცი)**

| მანქანათმშენებლობის კომპლექსი | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 * | 2012 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება | 875 | 855 | 1074 | 938 | 986 | 1188 | 2043 |
| ელექტრო, ელექტრონული და ოპტიკური მოწყობილობების წარმოება | 872 | 1275 | 729 | 679 | 1173 | 481 | 1010 |
| სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობების წარმოება | 4671 | 4161 | 3742 | 3996 | 3402 | 2219 | 3794 |

ლისა და მომსახურების ყიდვების მოცულობები [1].

- წინასწარი მონაცემები

როგორც მოცემული ცხრილებიდან ჩანს მრეწველობის სამივე სექტორში არსებული მაჩვენებლები მკვეთრად მერყეობს წლების მიხედვით, რაც მიუთითებს დარგების შემდგომი რეაბილიტაციისა და მათში ინოვაციური პოლიტიკის გატარების აუცილებლობაზე. ბუნებრივია ხშირ შემთხვევაში დარგებს არ გააჩნიათ საკუთარი ფინანსური სახსრები, რასაც ემატება ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარება, გამოშვებულ პროდუქციაზე არასაკმარისი მოთხოვნა და კომერციული კრედიტის საკმაოდ მაღალი პროცენტი, რაც არსებითად აფერხებს ზემოხსენებული დარგების მაღალეფექტურ ფუნქციონირებას.

ცხრილი 4

**მრეწველობაში შრომითი დანახარჯებისა და საქონლისა და მომსახურების ყიდვების მოცულობის მაჩვენებლები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით**

| მაჩვენებელი | მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება | | | | | | | | ელექტრო, ელექტრონული და ოპტიკური მოწყობილობების წარმოება | | | | | | | | სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობების წარმოება | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011* | 2012 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011* | 2012 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011* | 2012 |
| **შრომითი დანახარჯების მოცულობა, მლნ. ლარი** | - | 6,6 | 8,1 | 8,8 | 6,2 | 7,3 | 11 | 5,8 | - | 3,7 | 6 | 5,7 | 6 | 10,6 | 4,3 | 1,7 | - | 23,2 | 26,6 | 8,3 | 29,7 | 24,2 | 21,4 | 8,7 |
| **საქონლისა და მომსახურების ყიდვების მოცულობა, მლნ. ლარი** | - | - | 10,4 | 22,8 | 14,8 | 10,8 | 26,6 | 6,7 | - | - | 15,5 | 21,7 | 14,6 | 21,9 | 18,9 | 4,6 | - | - | 77 | 74,4 | 76,8 | 61,5 | 80,5 | 31,4 |

ნახაზი 2

ამგვარად შეიძლება ვიმსჯელოთ მანქანათმშენებლობის დარგის დაბალ კონკურენტურიანობაზე და მთლიანად ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების არახელსაყრელ სტრუქტურაზე. ამასთან ჩვენს მიერ მანქანათმშენებლობის საწარმოთა ფუნქციონირების თვალსაზრისით ჩატარებული გამოკვ-



ლევებისა და სტატისტიკური მონაცემების მკაფიო ანალიზის საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ დღესდღეობით დარგის ანალიტიკოსების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქართული ეკონომიკური რეალობისთვის დამახასიათებელია მანქანათმშენებელი დარგების პროდუქციაზე მოთხოვნილების შედარებით მდგრადი ზრდის ტენდენცია.

ამასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის მანქანათმშენებელი კომპლექსის სტრუქტურაზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენა, უცხო ქვეყნების გამოცდილების განზოგადება და თავისთავად მანქანათმშენებლობის კომპლექსის როგორც "ლოკომოტივის" როლი ეროვნული ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში.

მიუხედავად ზემოთხსენებულისა, მანქანათმშენებელი კომპლექსი კვლავაც განიცდის კრიზისს და ჩვენი თვალსაზრისით მიზეზთა ფართო ნუსხა შემდეგში მდგომარეობს: თავად მმკ-ის პროდუქციაზე დაბალი კონკურენტუნარიანობა და დამკვეთთა გადახდისუნარიანი მოთხონილების შემცირება, რაც თავის მხრივ განპირობებულია ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ***სანედლეულო ბაზაზე დამოკიდებულებისგან.***

მე-5 ცხრილში ავტორთა მიერ წარმოდგენილია ქვეყნის მანქანათმშენებელ საწარმოთა არსებითი ფუნქციონირების ძირითადი პრობლემების ჩამონათვალი.

აღსანიშნავია, რომ დაბალი კონკურენტუნარიანობის პირობებში ქვეყნის მანქანათმშენებელი სექტორი აღმოჩნდა ძალზედ რთულ მდგომარეობაში. ამას ემატება კიდევ არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიც გახლავთ ის, რომ მანქანათ- მშენებელი დარგები იმთავითვე იქმნებოდა და ყალიბდებოდა როგორც ერთიანი მეურნეობრივი კომპექსები, რომლებიც თავის თავში აერთიანებდა საწარმოებს, სადაც ეს უკანასკნელნი გამოშვებული პროდუქციის ხასიათის მიხედვით უშვებდნენ ერთმანეთის მსგავს მონათესავე პროდუქციას, სადაც ტექნოლოგიური პროცესები არსებითად ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების პარალელურად მიმდინარეობდა. თანამედროვე პირობებში მსგავსი ტიპის ე.წ. "ერთიანობა" აბსოლუტური ფორმალობაა და ამ გადასახედიდან შეიძლება ვიმსჯელოთ დამოუკიდებელ საწარმოთა ერთობლიობაზე, რომლებიც ცდილობენ მზარდი კონკურენციის პირობებში გადაირჩინონ საკუთარი თავი და არა აწ უკვე წარსულში დარჩენილ მძლავრ სამრეწველო კომპლექსზე. ამიტომ ქვეყნის მანქანათმშენებელი კომპლექსის საწარმოო სუბიექტების ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად პრობლემათაგან დღესდღეობით გვესახება მათი როგორც დამოუკიდებელ საწარმოთაგან შემდგარი ***ცალკეული სტრუქტურების არსებობა,*** რომლებიც უნდა ერთიანდებოდნენ **დარგობრივი სააქციო საზოგადოებების შემადგენლობაში.** ამასთან, როგორც ზოგადი სურათი გვიჩვენებს ეს უკანასკნელნი გარკვეული მიზეზების გამო არ არიან დაინტერესებულნი მანქანათმშენებელი საწარმოების საწარმოო ბაზის მოდერნიზაციის პროცესის ინტენსიფიკაციით. ამგვარად, საქართველოს მანქანათმშენებელი კომპლექსის მენეჯმენტი მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს. აქ პირველად გასატარებელ ღონისძიებათა ჩარჩოებში იგულისხმება მათი ფუნქციონირებისადმი მიდგომის რადიკალური ცვლილება. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა შეიცვალოს როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე გლობალური ბაზრის მუდმივად ცვალებადი მოთხოვნილებების ფონზე, ასევე პროდუქციული პორტფელის ოპტიმიზაციის ხარჯზე, და ამასთანავე ფინანსური მდგრადობის ხარისხის ეტაპობრივი ამაღლების კვალდაკვალ, ზედა ეშელონების სამეურნეო საქმიანობის ჩარჩოებში უკვე დრომოჭმული აზროვნების სტერეოტიპი. მოცემულ ასპექტში კი ყოველ მიზეზ გარეშე უნდა გადავერთოთ ***ბიზნესის წარმოების თანამედროვე მარკეტინგულ მეთოდებზე*** და დავდგეთ "საწარმოო მარკეტინგის რელსებზე", რომელსაც რგორც პრაქტიკა ცხადყოფს სამომხმარებლო მარკეტინგის ტრადიციული თეორიიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე გააჩნია თავისი უნიკალური სამომავლო სპეციფიკა.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც უნდა დაისახოს ქვეყნის მანქანათმშენებელმა სექტორმა (რეგიონების მიხედვით) ის გახლავთ, რომ სწორება უნდა აიღოს იმ ეფექტურ მოდელზე, როგორიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს გააჩნიათ, და კერძოდ, დარგების ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით შემოღებულ ე.წ. ***ეკონომიკური განვითარების ინდექსზე.*** თუმცაღა, წინასწარ განჭვრეტად მოვლენებსაც უნდა ჩაუტარდეს ანალიზი და აქედან გამომდინარე ქვეყანა მზად უნდა იყოს ***ემპირიული მონაცემების*** მისაღებად, რაც ქვეყნის ეროვნული მეურნეობის დარგებში მოგვცემს რეალურ ეკონომიკურ ეფექტს.

ცხრილი 5

**საქართველოში მანქნათმშენებელ საწარმოთა ფუნქციონირების ძირითადი პრობლემები**

| **პრობლემის წამოშობის არე** | **დარგობრივი განვითარების თავისებურებანი** | **ძირითადი გამომწვევი მიზეზები** |
|---|---|---|
| საკადრო შემადგენლობა | კადრების დენადობის მაღალი დონე; შესაბამისი პროფესიული კადრების დეფიციტი; საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის (შუალედური რგოლი) არასაკმარისი რაოდენობა | შრომის ანაზღაურების დაბალი საშუალო დარგობრივი დონე; შიდა კონტროლის მოშლილი სისტემა შრომის არასათანადო პირობებით; უმაღლესი ტექნიკური განათლების ხარისხის მკვეთრი დაცემა; უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა და სამრეწველო ობიექტებს/გაერთიანებებს შორის პარტნიორული ურთიერთობების გაწყვეტა |
| საწარმოო ფონდები | ძირითადი ფონდების ფიზიკური და მორალური ცვეთის (ამორტიზაციის) მაღალი დონე; დარგებში უმნიშვნელო საინვესტიციო აქტივობა; საბრუნავი ფონდების მართვისადმი არაეფექ-ტური მიდგომა | საწარმოთა მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის არარსებობა; კორპორატიული ტოპ-მენეჯმენტის მიერ პირადი მიზნების დასახვა; პირადი კაპიტალის არასაკმარისი დონე; არაეფექტური საგადასახადო რეჟიმი; დაკრედიტების არახელსაყრელი პირობები; მმკ-ში სახელმწიფოს მხრიდან დაბალი საინვესტიციო ინტერესი |
| შიდა ბაზარი | საიმპორტო პროდუქციის სიჭარბე; შიდა ბაზრის კონტროლი; გადახდისუნარიანი მო-თხოვნის დაბალი დონე | პროდუქციის შემსყიდველი დარგების სუბიექტების გადამხდელუნარიანობის თვალსაზრისით არსებული სპეციალიზაციისა და მათ-ზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი; მჭიდრო ურთიერთხელსაყრელი პარტნიორული ურთიერ-თობების უქონლობა; რესურსული საწარმოო ბაზის სიძვირე |
| გარე ბაზარი | ექსპორტის სიდიდის მკვეთრი შემცირება | მსყიდველობითი უნარის არახელსაყრელი პარიტეტი; პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე. |

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბილისი - 2010 წ.
2. Российский статистический ежегодник,2010. Стат.сб./Россстат.М.,2010.
3. Россия в цифрах 2011.Крат.стат.сб/Росстат.М., 2011.
4. Гуреева М.А.Основы экономики машиностроения: Учебник для нач. проф. образования/М.А. Гуреева/ М., Изд. центр «Академия» 2010.208 ст.


# К ВОПРОСУ ЭФФЕКТИВНОГО ФУНКЦИОНИРОВАНИЯ И УПРАВЛЕНИЯ МАШИНОСТРОИТЕЛЬНЫХ ПРЕДПРИЯТИЙ ГРУЗИИ

***И. Б. АБУЛАЛЗЕ, В. А. ЦВЕРАВА, А. С. МЕБОНИЯ - докторанты ГТУ***

В работе рассмотрены те основные проблемы эффективного функционирования машиностроительного комплекса страны, которые в значительной степени являются флагманами отечественного производства. В целом ставится вопрос о кризисных явлениях характерных для вышеупомянутого комплекса: о дефиците кадровых ресурсов, изношенности с моральной и физической точек зрения производственной базы, о недостаточности в отрасли инвестиционных капиталовложений, что в свою очередь в сущности и предопределяет целесообразность и необходимость нашего исследования при невмешательстве органов управления рекомендовать руководящим органам машиностроительного комплекса (мск) в условиях катализации его дальнейшего развития перейти на современные маркетинговые рельсы ведения бизнеса.

Ключевые слова: Машиностроительный комплекс, эффективное функционирование, субъекты экономической системы.